



შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

I. ზოგადი დებულებები

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიზანია განისაზღვროს ის მაქსიმალური კონტიგენტი, რომელიც უნივერსიტეტში არსებული ხელმისაწვდომი ფართობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით შექმნის აკადემიური პროცესის ეფექტურად და ეფექტიანად წარმართვის წინაპირობას.
2. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ აუცილებელ და დამატებით ინდიკატორებსა და შესაბამის რესურსებს.
3. სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული აუცილებელი ინდიკატორები:
 - ადამიანური რესურსი (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი);
 - მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.
4. სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული დამატებითი ინდიკატორები:
 - ბაზრის კვლევის მონაცემები;
 - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
 - სტუდენტთა ჩარიცხვის დინამიკა;
 - სტუდენტთა გადინების (მობილობის ჩათვლით) დინამიკა;
 - სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა.
5. უნივერსიტეტის სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ინდიკატორების შეფასება სამიზნე ნიშნულთან მიმართებით.
6. უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობა გამოითვლება ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ ან/და ჩარიცხულ პირთათვის.

II. სტუდენტთა კვოტის დაგეგმარების პროცედურული ასპექტები

7. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმარება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით. შედეგთა ერთობლიობა, როგორც საერთო კონტიგენტი, განიხილება აკადემიურ საბჭოზე და მტკიცდება პრეზიდენტის ბრძანებით.

8. სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრა ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას და სათანადო რესურსების არსებობას, რომლის დროსაც ასევე გაითვალისწინება დამატებითი ინდიკატორები. სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრისთვის დადგენილი ინდიკატორები, პროგრამების მიხედვით, შეიძლება იყოს წინამდებარე დოკუმენტისაგან განსხვავებული და მეტად დეტალიზებული.

9. უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით შესაძლებელია სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში ცვლილებების შეტანა ზემოაღნიშნული პროცედურის დაცვით.

III. ადამიანური რესურსი

III. I. პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ძირითადი სამიზნე ნიშნულები

10. სტუდენტთა საერთო მაქსიმალური კვოტის განსაზღვრაში განსაკუთრებული ინდიკატორია აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რაც დამოკიდებულია ცალკეული პროგრამის სპეციფიკაზე.

11. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას ორიენტირი უპირატესად კეთდება აფილირებულ პერსონალზე, პერსპექტივაში მათი ოდენობის ზრდის უზრუნველსაყოფად.

12. ერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში სავალდებულოა მონაწილეობდეს დარგის მინიმუმ 4 (ოთხი) აფილირებული აკადემიური პერსონალი (პროფესორი/ ასოცირებული პროფესორი). იმ შემთხვევაში თუ პროგრამაზე 100 სტუდენტზე მეტი იქნება ჩარიცხული დამატებით 30 (ოცდაათი) სტუდენტზე უნდა იანგარიშებოდეს ერთი აფილირებული აკადემიური პერსონალი.

13. აფილირებული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს არსებული აკადემიური პერსონალის 50%-ზე ნაკლები.

14. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა ადეკვატური უნდა იყოს სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის და თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/40-ს.

15. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა ადეკვატური უნდა იყოს სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის და თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/10-ს.

16. იმ მოწვეული პერსონალის თანაფარდობა, რომელიც ახორციელებს პროგრამის სავალდებულო სასწავლო/კვლევით კომპონენტს, აკადემიურ პერსონალთან მიმართებით არ უნდა აღემატებოდეს 1/1-ს. ამ წესიდან გამონაკლისი შეიძლება დადგინდეს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

III. II. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის დამატებითი სამიზნე ნიშნულები

17. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას დამატებით გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები:

17.1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მთლიან რაოდენობასთან;

17.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი.

III. III. აკადემიური პერსონალის დატვირთვა

18. აკადემიური (აფილირებულის ჩათვლით) პერსონალის სალექციო დატვირთვის მაქსიმალური კვირეული ზღვარი განისაზღვრება მათი სხვა ძირითადი მოვალეობის

მაჩვენებლითა და უნივერსიტეტში დაკავებული ადმინისტრაციული/დამხმარე პოზიციაზე მათი დატვირთვის შესაბამისად.

IV. მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

IV.I ფართობი

19. სტუდენტთა საერთო მაქსიმალური კვოტის განსაზღვრაში ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორია შესაბამისი ინვენტარით (მერხი, სკამი, დაფა, კომპიუტერი (ები), პროექტორი) აღჭურვილი სასწავლო ფართი - აუდიტორია, ლაბორატორია, საკონფერენციო დარბაზი და სხვა.

20. თითოეული აუდიტორიის დატვირთვა დღის განმავლობაში განისაზღვრება 12 საათით (10.00 სთ-დან 22.00 სთ-მდე), შესაბამისად კვირაში 72 საათით;

21. ერთი აუდიტორია უზრუნველყოფს ერთდროულად საშუალოდ 20 სტუდენტის (ერთ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა) განთავსებას;

22. ჯგუფის სააუდიტორიო (საკონტაქტო) დატვირთვა კვირის განმავლობაში განისაზღვრება საშუალოდ 18 საათით, დღეში საშუალოდ 3 საათით.

IV. II. კომპიუტერები

23. სტუდენტთა საერთო მაქსიმალური კვოტის განსაზღვრაში ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორია აუდიტორიებში განთავსებული კომპიუტერები, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით და ინტერნეტთან წვდომით.

24. უნივერსიტეტში კომპიუტერებისა და სტუდენტთა თანაფარდობა არ შეიძლება აღემატებოდეს 1/10-ს.

V. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მოდელი

25. სტუდენტთა საერთო საუნივერსიტეტო ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება:

$$Q_s = Q_{s1} + Q_{s2}$$

საიდანაც, Q_{s1} ადგენს ყველა სკოლისთვის სტუდენტთა ზღვრულ ერთობლივ რაოდენობას გარდა მედიცინის სკოლისა, Q_{s2} კი, მედიცინის სკოლისთვის.

26. Q_{s1} - სტუდენტთა კონტიგენტის დამდგენი მოდელი შედგება სამი კომპონენტისგან, რომელთაგან პირველი წარმოადგენს სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის განმსაზღვრელს უნივერსიტეტის ფართობის საფუძველზე, ხოლო დანარჩენი ორი კი, მის მაკორექტირებელ ინდექსს. შედეგად:

$$Q_{s1} = SNa_1 \times (Al_{st1} > 1) \Rightarrow 1 \times (Al_{sc1} > 1) \Rightarrow 1$$

$$26.1 \quad SNa_1 \text{ (Student number by area)} = ((Cn_1 \times AHW_1) / THW_1) \times Cs_1$$

სადაც,

- SNa_1 არის სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა ფართობის მიხედვით, რომლის მიღწევა შესაძლებელია არსებული სივრცისა და ინვენტარის (მერხი, სკამი, დაფა) პირობებში;

- **Cn₁** (Class number) - უნივერსიტეტში არსებული სასწავლო აუდიტორიების რაოდენობა;
- **AHW₁** (Available hours per week) - ერთ აუდიტორიაში სწავლებისთვის ხელმისაწვდომი მაქსიმალური საათების რაოდენობა (გამტარიანობა) კვირაში;
- **THW₁** (Teaching hours per week) - ერთი ჯგუფის საკონტაქტო საათების / სწავლების მაქსიმალური საათების რაოდენობა კვირაში (დატვირთულობა);
- **Cs₁** (Class size) - აუდიტორიაში/ჯგუფში სტუდენტების საშუალო, დასაშვები რაოდენობა;

26.2 **Alst₁** (Adjusting Index by student per teacher ratio) = $(Ln_1 - Np_1 * n_a) * STR_2 + Np_1 * STR_1) / SNa_1$

სადაც,

- **Alst₁** არის ფართობის მიხედვით განსაზღვრული სტუდენტთა მაქსიმალური კონტიგენტის მაკორექტირებელი ინდექსი ლექტორების რაოდენობის მიხედვით. თუკი აღნიშნული ინდექსი ნაკლებია ერთზე, მაშასადამე, ფართობის მიხედვით დადგენილ სტუდენტთა ზღვრულ ნიშნულს ლექტორების რაოდენობა ვერ დააკმაყოფილებს და ამდენად, ამცირებს მას შესაბამის ზღვრამდე. ხოლო, თუკი ინდექსი 1-ზე მეტია, პირიქით, უნივერსიტეტში ლექტორების რაოდენობა ჭარბია. თუმცა, ვინაიდან არსებული ფართობი სტუდენტთა კონტიგენტის ზედა ზღვარს იმთავითვე განსაზღვრავს, მოცემული ინდექსი მას ტოვებს უცვლელად.
- **Ln₁** (Lecturers number) - შესაბამისი ხელშეკრულებებით განსაზღვრული აფილირებული ლექტორების ჯამური რაოდენობა უნივერსიტეტში;
- **Np₁** (Number of programs) - აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა უნივერსიტეტში მედიცინის სკოლის გარდა
- **n_a** (Min number of affiliated lectors of programs for first 100 students) - საერთო საუნივერსიტეტო სტანდარტი აფილირებული ლექტორების რაოდენობა თითოეული პროგრამისთვის პირველი 100 სტუდენტის შემთხვევაში
- **STR₂** (student per teacher ratio) - საერთო საუნივერსიტეტო სტანდარტი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი სტუდენტი მოდის ერთ აფილირებულ ლექტორზე პირველი 100 სტუდენტის შემდეგი რაოდენობისთვის. ამ შემთხვევაში ის გამოყენებულია, როგორც სტანდარტი, რომელსაც უნივერსიტეტი ადგენს საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- **STR₁** (student per teacher ratio) - საერთო საუნივერსიტეტო სტანდარტი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი სტუდენტი ზეა განსაზღვრული **n_a**-ით დადგენილი სტანდარტი

26.3 **Alsc₁** (Adjusting Index by student per computer ratio) = $PCn_1 / (SNa_1 \times (Alst_1 > 1) \Rightarrow 1) / SCR_1$;

სადაც,

- **Alsc₁** არის ფართობის და ლექტორთა რიცხოვნობის მიხედვით განსაზღვრული სტუდენტთა მაქსიმალური კონტიგენტის მაკორექტირებელი ინდექსი კომპიუტერების რაოდენობის მიხედვით. თუკი აღნიშნული ინდექსი ნაკლებია ერთზე, მაშასადამე, ფართობის და ლექტორთა რიცხოვნობის მიხედვით დადგენილ სტუდენტთა ზღვრულ ნიშნულს კომპიუტერების რაოდენობა ვერ დააკმაყოფილებს და ამდენად, ამცირებს მას შესაბამის ზღვრამდე. ხოლო, თუკი ინდექსი 1-ზე მეტია, პირიქით, უნივერსიტეტში კომპიუტერების რაოდენობა ჭარბია. თუმცა, ვინაიდან არსებული ფართობი სტუდენტთა კონტიგენტის ზედა ზღვარს იმთავითვე განსაზღვრავს, მოცემული ინდექსი მას ტოვებს უცვლელად.

- **PCn₁** (Personal Computers number) - სალექციო დროის ინტერვალში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი კომპიუტერების რაოდენობა უნივერსიტეტში, რომელიც ინტერნეტზე არის მიერთებული და ამავდროულად, აღჭურვილია ყველა საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით.
- **SCR₁** (Student per Computer ratio) - ინდიკატორი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი სტუდენტი მოდის ერთ კომპიუტერზე. ამ შემთხვევაში ის გამოყენებულია, როგორც სტანდარტი, რომელსაც უნივერსიტეტი ადგენს საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

VI. სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მოდელი მედიცინის სკოლისთვის

27 მედიცინის სკოლაში სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის დამდგენი მოდელის მიზანია განისაზღვროს ის მაქსიმალური კონტიგენტი, რომელიც უნივერსიტეტის განკარგულებაში არსებული სივრცის (სააუდიტორიო და კლინიკური სივრცეები, ლაბორატორიები), პარტნიორი კლინიკების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით შექმნის აკადემიური პროცესის ეფექტურად და ეფექტიანად წარმართვის წინაპირობას.

28 მედიცინის სკოლაში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დამდგენი მოდელი შედგება ოთხი კომპონენტისგან, რომელთაგან პირველი წარმოადგენს სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის განმსაზღვრელს უნივერსიტეტისთვის ხელმისაწვდომი სივრცის საფუძველზე, ხოლო დანარჩენი სამი კი, მის მაკორექტირებელ ინდექსს ხელმისაწვდომი ოთახი/ექიმის, ავლირებული პერსონალის და კომპიუტერული აღჭურვილობის მიხედვით

$$Qs_2 = \underline{SNa_2} \times \underline{(Alht_2 > 1) \Rightarrow 1} \times \underline{(Alst_2 > 1) \Rightarrow 1} \times \underline{(Alsc_2 > 1) \Rightarrow 1}$$

28.1 SNa₂ (Student number by area) = SNa_a + SNa_c

სადაც,

- **SNa₂** არის სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობის დამდგენი სააუდიტორიო და კლინიკურ/ლაბორატორიული სივრცის და მასში არსებული ინვენტარის (მერხი, სკამი, დაფა, მულაჟი და სხვა ინვენტარი) პირობებში. შესაბამისად, ის შედგება ორი კომპონენტის ჯამისგან და აერთიანებს ერთი მხრივ, სააუდიტორიო სწავლებით განსაზღვრული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას, მეორე მხრივ, კლინიკურ/ლაბორატორიული სწავლებით გათვალისწინებულ კონტიგენტს. მედიცინის სკოლის აკადემიური პრინციპებიდან და პროცესიდან გამომდინარე, ერთდროულად სემესტრის განმავლობაში აქტიური სტუდენტების 45 %-მდე გადის სააუდიტორიო სწავლებას, ხოლო 55 % კლინიკურ/ლაბორატორიულს (მათ შორის მცირე ნაწილი - 12%, თეორიულს შეზღუდული საათებით, კვირაში 4 საათი);

- **SN_{aa}** (student number by auditorium area) არის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დამდგენი სააუდიტორიო სივრცის მიხედვით $SN_{aa} = ((C_n \times AHW) / THW) \times CS$:
 - ✓ **C_{n2}** (Class number) არის უნივერსიტეტში არსებული სასწავლო აუდიტორიების რაოდენობა;
 - ✓ **AHW₂** (Available hours per week) - ერთ აუდიტორიაში სწავლებისთვის ხელმისაწვდომი მაქსიმალური საათების რაოდენობა (გამტარიანობა) კვირაში;
 - ✓ **THW₂** (Teaching hours per week) - ერთი ჯგუფის საკონტაქტო საათების / თეორიული სწავლების მაქსიმალური საათების რაოდენობა კვირაში (დატვირთულობა);
 - ✓ **CS_{a2}** (Class size of auditorium) - აუდიტორიაში/ჯგუფში სტუდენტების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა;
- **SN_{ca}** (student number by clinical area) კლინიკური ოთახების და ლაბორატორიების მიხედვით $SN_{ca} = (LCC_n \times LCHW) / TCLHW \times CSCL$:
 - ✓ **LCC_n** - ლაბორატორიების და კლინიკური ოთახების რაოდენობა;
 - ✓ **LCHW** - ლაბორატორიების და კლინიკური ოთახების საათობრივი დატვირთვა კვირაში;
 - ✓ **TCLHW** - ჯგუფის კლინიკური/ლაბორატორიული სწავლების საათობრივი დატვირთვა კვირაში;
 - ✓ **CSCL** - კლინიკურ ოთახში/ლაბორატორიაში სტუდენტების დასაშვები რაოდენობა.

28.2 AI_{ht} (Adjusting index by hospitality teaching) = $1 - (1 - H_n / ((SN_{ca} / CSH) * THHW / HHW)) * SN_{ca} / SN_{a2}$

სადაც,

- **AI_{ht}** არის მაკორექტირებელი ინდექსი, რომელიც აღწერს პარტნიორ კლინიკებში ხელმისაწვდომი ოთახი/ექიმების მიმართებას უნივერსიტეტის სივრცით დადგენილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან. აკადემიური პროცესის მიხედვით, სემესტრში მედიცინის სკოლის სტუდენტების ის ნაწილი, რომლებიც გადიან კლინიკურ/ლაბორატორიულ აკადემიურ პროცესს, კვირაში ერთხელ პრაქტიკულ სწავლებას გადიან პარტნიორ კლინიკებში. თუკი აღნიშნული ინდექსი ნაკლებია ერთზე, მაშასადამე, ფართობის მიხედვით დადგენილ სტუდენტთა ზღვრულ ნიშნულს ოთახი/ექიმების რაოდენობა ვერ დააკმაყოფილებს და ამდენად, ამცირებს მას შესაბამის ზღვრამდე. ხოლო, თუკი ინდექსი 1-ზე მეტია, პირიქით, პარტნიორი კლინიკების ფარგლებში არსებული ოთახი/ექიმების რაოდენობა ჭარბია. თუმცა, ვინაიდან არსებული ფართობი სტუდენტთა კონტიგენტის ზედა ზღვარს იმთავითვე განსაზღვრავს, მოცემული ინდექსი მას ტოვებს უცვლელად.

- ✓ **H_n** - პარტნიორი კლინიკების რაოდენობა;

- ✓ HHW (კლინიკების დატვირთვა კვირაში საათები - ერთ კლინიკაზე საშუალოდ მოდის 1 ოთახი/ექიმი კვირაში ორჯერ);
- ✓ CSBST (Class size of bad side teach) – პარტნიორ კლინიკაში პაციენტის საწოლთან სწავლებისას სტუდენტების ერთდროულად ერთ ჯგუფში მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა;
- ✓ CSCCD (Class size of Clinical case discussion) - პარტნიორ კლინიკაში კლინიკური შემთხვევის გარჩევაზე/ანალიზზე დაფუძნებული სწავლებისას სტუდენტების ერთდროულად ერთ ჯგუფში მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა - 10;
- ✓ CSH (Class size of hospital teaching) - სამედიცინო დაწესებულებაში სწავლებისას სტუდენტების ერთდროულად ერთ ჯგუფში მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა, რომელიც მიიღება CSBST-სა და CSCCD-ის საშუალო შეწონილით (სასწავლო საათები CSBST-სა და CSCCD-ზე სემესტრში განაწილებულია თანაბრად).
- ✓ THHW - ჯგუფის საათობრივი დატვირთვა კლინიკაში;
- ✓ SNca სტუდენტების ზღვრული რაოდენობა კლინიკური/ლაბორატორიული რესურსის მიხედვით;
- ✓ SNa2 სტუდენტების ზღვრული რაოდენობა საუნივერსიტეტო სივრცის მიხედვით (სააუდიტორიო + კლინიკურ/ლაბორატორიული).

$$= (Ln_2 - Np_2 * n_a) * STR_2 + Np_2 * STR_1 / ((SNa_2 \times Al_{ht} > 1) = > 1)$$

28.3 $Al_{st2} = (Ln_2 - Np_2 * n_a) * STR_2 + Np_2 * STR_1 / ((SNa_2 \times Al_{ht} > 1) = > 1)$

- **Al_{st2}** არის სივრცის და პარტნიორი კლინიკების ოთახი/ექიმების საფუძველზე განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მაკორექტირებელი ინდექსი აფილირებული ლექტორების რაოდენობის მიხედვით. ანალოგიურად, თუკი აღნიშნული ინდექსი ნაკლებია ერთზე, მაშასადამე, სივრცის და ოთახი/ექიმების მიხედვით დადგენილ სტუდენტთა ზღვრულ ნიშნულს ლექტორების რაოდენობა ვერ დააკმაყოფილებს და ამდენად, ამცირებს მას შესაბამის ზღვრამდე. ხოლო, თუკი ინდექსი 1-ზე მეტია, პირიქით, აღნიშნულ პროგრამაზე აფილირებული ლექტორების რაოდენობა ჭარბია. თუმცა, ვინაიდან არსებული სივრცე და ოთახი/ლექტორები სტუდენტთა კონტიგენტის ზედა ზღვარს იმთავითვე განსაზღვრავს, მოცემული ინდექსი მას ტოვებს უცვლელად.

- ✓ **Ln₂** (Lecturers number) - შესაბამისი ხელშეკრულებებით განსაზღვრული აფილირებული ლექტორების ჯამური რაოდენობა მედიცინის სკოლაში;
- ✓ **na** (Minimal number of affiliated lectors of programs for first 100 students) - საერთო საუნივერსიტეტო სტანდარტი აფილირებული ლექტორების რაოდენობაზე თითოეული პროგრამისთვის პირველი 100 სტუდენტის შემთხვევაში
- ✓ **Np₂** (Number of programs) - აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა უნივერსიტეტში მედიცინის სკოლის ფარგლებში
- ✓ **STR₂** (student per teacher ratio) - საერთო საუნივერსიტეტო სტანდარტი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი სტუდენტი მოდის ერთ აფილირებულ ლექტორზე პირველი 100 სტუდენტის შემდეგი რაოდენობისთვის. ამ შემთხვევაში ის გამოყენებულია, როგორც სტანდარტი, რომელსაც უნივერსიტეტი ადგენს საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;

- ✓ **STR₁** (student per teacher ratio) - საერთო საუნივერსიტეტო სტანდარტი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი სტუდენტზეა განსაზღვრული **n_a** -ით დადგენილი სტანდარტი
-

28.4 $AI_{sc2} = PCn_2 / (SNa_2 \times (AI_{ht}>1)=>1) \times (AI_{st2}>1)=>1) / SCR_2)$

- **AI_{sc}** არის სივრცის, ოთახი/ექიმის და აფილირებული ლექტორების მიხედვით განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მაკორექტირებელი ინდექსი კომპიუტერების რაოდენობის მიხედვით. თუკი აღნიშნული ინდექსი ნაკლებია ერთზე, მაშასადამე, სტუდენტთა ზღვრულ ნიშნულს კომპიუტერების რაოდენობა ვერ დააკმაყოფილებს და ამდენად, ამცირებს მას შესაბამის რაოდენობამდე. ხოლო, თუკი, ინდექსი 1-ზე მეტია, პირიქით, უნივერსიტეტში კომპიუტერების რაოდენობა ჭარბია. თუმცა, ვინაიდან ზემოთ აღნიშნული კომპონენტების უკვე აწესებს კონტიგენტის ზედა ზღვარს, მოცემული ინდექსი მას ტოვებს უცვლელად;
 - ✓ **PCn₂** (Personal Computers number) სალექციო დროის ინტერვალში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი კომპიუტერების რაოდენობა უნივერსიტეტში, რომელიც ინტერნეტზე არის მიერთებული;
 - ✓ **SCR₂** (Student per Computer ratio) არის ინდიკატორი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი სტუდენტი მოდის ერთ კომპიუტერზე. ამ შემთხვევაში ის გამოყენებულია, როგორც სტანდარტი, რომელსაც უნივერსიტეტი ადგენს საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.